დანართი.1

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის

სამოქმედო გეგმა

1. პროგრამის სახელწოდება:

,, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით“

2. პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

02 04

3. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

დაწყება 01.06.2024-01.11.2024

4. პროგრამი მთლიანი ბიუჯეტი

15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

6.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია

7. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება

სოფლის მეურნეობა მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა ასევე ერთერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. სენაკი ძირითადად აგრარული მიმართულების მუნიციპალიტეტია,სადაც დასაქმების და შემოსავლების წილი უმეტესად აგრარულ;ი სექტორზე მოდის. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის დაკვეთით საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ შესწავლილ იქნა სოფლის მეურნეობის დარგში არსებული ვითარება და ფერმერების საჭიროებები.(სენაკის მუნიციპალიტეტის ფერმერების საჭიროებების კვლევა.თბილისი 2024 წ) კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა უნდა მოხდეს ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი პროგრამების საშუალებით, რაც გულისხმობს მცირე ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ასევე გამოიკვეთა ტრენინგების და მასტერკლასების ჩატარების აუცილებლობა. კვლევის რეკომენდაციით მნიშვნელოვანია მონათესავე დარგების ,როგორიცაა აგროტურიზმის განვითარება და სექტორებს შორის კავშირების გაძლიერება, რადგან სექტორული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შუწყობს შესაბამის სექტორებს. თუმცა სენაკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა მოხდეს ინტეგრირებული მიდგომების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა ქალების დაბალი ჩართულობა სოფლის მეურნეობის სექტორში,გატარებული მნიშვნელოვანი აქტივობების მიუხედავად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარების მიზნით, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება ერთის მხრივ გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს, მეორე მხრივ აღსანიშნავია მისი ეკონომიკური განზომილებაც.

გამოწვევა - სოფლის მეურნეობის სექტორში ქალთა და ახალგაზრდების მდგრადი ჩართულობა ჯერჯერობით დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რაც იწვევს გენდერულ უთანასწორობას.

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარების მიზნით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ზომების განხორციელება აუცილებელია, კერძოდ: სოფლად მცხოვრები ქალების და ახალგაზრდების გააქტიურება, ბიზნეს პროექტების მომზადების სწავლება, მცირე და დამწყები მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და დაფინასების წყაროების მოძიება.

ფერმერების საჭიროებების კვლევა დაედო საფუძვლად მუნიციპალიტეტის მერიას განეხორცილება ფერმერების ტექნიკური დახმარების პროგრამა,სადაც პრიორიტი მიენიჭება ქალების და ახლგაზრდების ჩართულობას და გააქტიურებას. პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ტექნიკურ მხარდაჭერით თანაბარ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას, გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მმართველობას, მეტ კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას, ასევე ქალთა თანაბარი უფლებების და გაძლიერების მხარდაჭერას.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს: სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას,დამწყები, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და განვითარებას; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებას და გაძლიერებას.

დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიის ამოცანა 3.1–ში „ადგილობრივ დონეზე მართვისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა“, აღნიშნულია, რომ რეფორმის დღის წესრიგი ღიაა ქალთა აქტიური მონაწილეობისათვის, როგორც არჩევით პოზიციებზე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მომხმარებლებს შორის. ანგარიშვალდებულების გაზრდა და ადგილობრივი სერვისის მონაწილეობის გაფართოების მიზნით, ქალებს უფრო მეტ სტიმულს და საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

ამასთანავე საქართველომ გამოთქვა მზაობა ჩაერთოს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში, რომლის მე–16.7 მიზანი გულისხმობს თანამონაწილეობით და ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფას მმართველობის ყველა დონეზე, სადაც უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ყველა ჯგუფის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეს კი თავისთავად გულისხმობს ქალთა ჩართულობას და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

8. პროექტის მიზანი

სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების მხარდაჭერა, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრები ქალების /ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;

იმ ოჯახების სოციალურ ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართული ადგილობრივი წარმოების ზრდის, ტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ;

სოფლის მეურნეობის სექტორში,და ზოგადად მეწარმეობაში,ქალების და ახლგაზრდების მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, ქალების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი და თანაბარუფლებიანი წევრების განვითარების ხელშეწყობა. მცირე მეწარმეობის განვითარება. სტიმული, მოტივაცია და მაგალითი სხვა ქალებისთვის, რათა უფრო მეტად გააქტიურდნენ და მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მუნიციპალიტეტის მერიის მიზნობრივ პროგრამებში, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, დონორების, მიერ გამოცხადებულ პროექტებში თავიანთი იდეების განსახორციელებლად.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება : მიზანი 5, მიზანი 11.

9. მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები

ა)სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების გაძლიერება

ბ)სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა

გ)ქალების და ახლგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება და გააქტიურება;

დ) სოფლად დაწყებული მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობა;

ე) სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა;

ვ) მეწარმე ქალთა წახალისების ღონისძიებების გატარება.

ზ) აგრარულ სექტორში ინოვაციური იდეების ხელშეწყობა

თ) ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობის სექტორში

ი) აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

10.ნორმატიული აქტი რომლის საფუძველზე დგება პროგრამა.

ადგილობრივი ნორმატიული აქტები:

1.საქართველოს კონსტიტუცია;

2. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი;

3. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

4.სენაკის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

5.სენაკის მუნიციპალიტეტის ფერმერების საჭიროებების კვლევა

11. პროექტის პრიორიტეტული მიმართულებებია :

1.სოფლის მეურნეობის მეორადი პროდუქციის წარმოება.
(მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მემცენარეობა, მეთევზეობა, რძის წარმოება, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, სასათბურე და სანერგე მეურნეობის მოწყობა,)
2.ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობის სექტორში (მზის პანელები, წვეთოვანი სარწყავი სისტემა, სასათბურე კონსტრუქცია, ხელოვნური განათება, ელექტრომწყემსი და სხვა)

3. აგროტურიზმი. ტურისტული სერვისები, ტურიზმთან დაკავშირებული წარმოება, ნებისმიერი სახის მომსახურება, (ინოვაციური იდეები, რომელიც ხელს შეუწყობს სენაკის მუნიციპალიტეტში აგრო და ეკო ტურიზმის განვითარებას).

12. საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. თამბაქოს წარმოება ან/და ვაჭრობა;
2. პროექტის განხორციელების ეტაპზე რაიმე სახის ანაზღაურების მიღება;
3. რელიგიური ღონისძიებები.

13. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება

პროექტი გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ერთი პროექტი არა უმეტეს 5 000 ლარით იქნება დაფინანსებული.

- პროექტის მინიმალური ბიუჯეტი 1 000 ლარი.
- პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი 5 000 ლარი.

თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს მოთხოვნის თანხის 15 % -ს, თუ მოთხოვნილი თანხა ტოლია ან აღემატება 4000 ლარს.

თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ ფინანსური მონაწილეობა.

შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) აქტივის შეძენა.

დაინტერესებულ პირებს მხოლოდ ერთი პროექტის შემოტანის უფლება აქვს კონკურსის ფარგლებში. მერია უფლებას იტოვებს, არ შეარჩიოს არც ერთი განაცხადი, იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ არ დააკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს.

14. პროგრამით მოსარგებლე პირები

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები.

ქალი და ქალთა საინიციატივო ჯგუფი.

ახალგაზრდები და ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფები

პროგრამა განხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

15. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები

პროგრამა საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებს არ საჭიროებს, დაფინანსება განხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

16. კონკურსის ჩატარების ეტაპები

კონკურსი ჩატარდება შემდეგ ეტაპებად:

1. კონკურსის გამოცხადება -
2. საინფორმაციო შეხვედრები

3 .საკონკურსო იდეის -განაცხადის წარდგენა

3. საკონკურსო იდეის განაცხადის შეფასება;

4. ადგილზე ვიზიტი

5.გასაუბრება

6. გამარჯვებული ბენეფიციარების გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება-

7. გამარჯვებული პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი;

8. დამატებითი მონიტორინგი.

4. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება, კონკურსის შერჩევა/შეფასების წესით, მიღებული ქულათა ჯამით.

5. კონკურსის ჩატარების ეტაპების ვადებს, შეფასების დამატებით საკითხებს ოქმით, განსაზღვრავს სპეციალურად შექმნილი სამუშაო კომისია.

17. მოსარგებლეთა შერჩევის წესი

პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი, ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი,ახალგაზრდები ან ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი. ქალთა და ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტში. **უპირატესობა ენიჭება:** ➢ ახალი ბიზნესის წამოწყებას, ➢ ქალის და ქალთა ჯგუფების ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,

- ახალგაზრდა (35 წლის ასაკის ჩათვლით) სუბიექტის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში შშმ პირი) ქალთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,
- მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის (დედის) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,
- მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე დედის (ოთხი ან მეტი შვილი 18 წლამდე) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას,
- ინოვაციური პროექტებს

აღნიშნული კატეგორიის პირმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, დანართის სახით.

18. კონკურსში მონაწილეობა ეზღუდება

- პირს, რომელსაც აქვს საბანკო დავალიანება, ყადაღა და რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში;
- საჯარო მოხელეს.

19. გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებამდე:

- პროექტის განაცხადი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბიზნესის განხორციელების ადგილის საკუთრების, ფლობის ან/და სარგებლობის დოკუმენტი, საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი (განახლებული, 2024 წლის მდგომარეობით) საჯარო რეესტრიდან ან ბიზნესის განხორციელების ადგილის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დროებით სარგებლობის ფორმებით მიღების დამადასტურებელი ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ 1 (ერთი) წლით. ამასთან, თუ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილ იქნა უკვე გაფორმებული მოქმედი ბიზნესის განხორციელების ადგილის სარგებლობის ფორმით მიღების დამადასტურებელი 1 (ერთი) წლიანი ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც სრულდება მეწარმე სუბიექტსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელზე ნაკლებ ვადაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარადგინოს განახლებული დოკუმენტი, რომლის მოქმედების ვადაც არ იქნება მასსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელზე ნაკლები;
- გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად/ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- ცნობა, რომ მეწარმე სუბიექტს არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება და ანგარიშზე ყადაღა კომერციულ ბანკში, რომლიდანაც წარმოადგენს ანგარიშის რეკვიზიტებს;
- ცნობა, ყადაღის არ ქონის შესახებ;
- ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან;
- იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა საჭიროებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის/უწყების თანხმობას/ნებართვას, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების გაფორმებამდე;
- საინიციატივო ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში – ჯგუფის წევრთა თანხმობები, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით ან/და ხელმოწერილი კომისიის მდივნის თანდასწრებით.

ბიზნეს იდეის შერჩევა შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილი სამუშაო კომისიის მიერ, რომელიც დამტკიცებული იქნება მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით.

20. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს

- გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად/ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
-
-
- თანამონაწილეობის და პროგრამის თანხის გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ა) პროდუქციის/მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
- სასაქონლო ზედნადები (RS.GE);
- საგადასახადო დოკუმენტი(RS.GE);
- ანგარიშ-ფაქტურა (RS.GE);
- ბ) თანხის გადახდის და ზემოაღნიშნული დოკუმენტებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
- სალაროს ქვითარი (იმავე ოდენობაზე);
- ინვოისი
- ბანკის გადარიცხვის ქვითარი (იმავე ოდენობაზე);
- კომერციული ბანკის სალარო (POS) ტერმინალის ქვითარი.
- ჩგდ - ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი (იმავე ოდენობაზე);
- სალაროს შემოსავლის ორდერი (მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემთხვევაში)(1)
- (1) პროდუქციის/მომსახურების მიმწოდებელი რეგისტრირებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელად, რომელიც უზრუნველყოფს „ა“ და „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ფიზიკური პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება მომსახურებაზე, რაზედაც წარმოსადგენი იქნება კონკრეტულ პირთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია აღნიშნული პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შესახებ.